ფინედუს ამბები

გამოშვება #03

საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების პლატფორმა
www.finedu.gov.ge-ს ყოველკვარტალური გამოშვება

8 ოქტომბერი, 2026
III კვარტალი

მთავარი ამბავი

ფინანსური განათლების ეროვნული ჯილდოს მფლობელი გამოვლინდა

ფინანსური განათლების ეროვნული ჯილდოს გამარჯვებული სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბაძველის საჯარო სკოლის მოქალაქეობის მასწავლებელი ამირან ხიმშიაშვილი გახდა.

ფინანსური განათლების ეროვნული ჯილდო ყოველწლიური კონკურსია, რომელიც ფინედუს ინიციატივითა და ბაზისბანკის მხარდაჭერით დაარსდა. ეროვნული ჯილდოს მიზანია, მასწავლებლებში წაახალისოს ფინანსური განათლების ეფექტური სწავლება.

ვრცლად

III კვარტალი რიცხვებში

326,762	13,634	115	20,206
ფეისბუქგვერდის უნიკალური მომხმარებელი	არაპირდაპირი ბენეფიციარი	პირდაპირი ბენეფიციარი	ვებ-გვერდის უნიკალური მომხმარებელი

სხვა ამბები

საუნივერსიტეტო კონკურსი UNI4VERSE დაიწყო

მასშტაბური საუნივერსიტეტო კონკურსის UNI4VERSE მთავარი თემა ფინანსური განათლებაა. კონკურსის ფარგლებში, სტუდენტური გუნდები ჰამდენიმე კვირის განმავლობაში იმუშავებენ ისეთი ფინანსური ტექნოლოგიური (FinTech) პროდუქტის შექმნაზე, რომელიც უპასუხებს ფინანსური განათლების გამოწვევებს.

კონკურსში 32 უნივერსიტეტია ჩართული, სადაც ფინედუს წარმომადგენლები საინფორმაციო შეხვედრებს გამართავენ და სტუდენტებს ფინანსური განათლების გამოწვევებსა და პრაქტიკულ საჭიროებაზე ინფორმაციას გაუზიარებენ. გამარჯვებული გუნდი გლობალურ ტექნოლოგიურ კონფერენციაზე - WEB SUMMIT-ზე გაემგზავრება და საკუთარი იდეის განვითარებისთვის 20 000 დოლარს მიიღებს.

ვრცლად

მასწავლებლების მხარდაჭერა

11 სექტემბერს ფინედუს ინიციატივით გაიმართა კონფერენცია „ფინანსური განათლება სკოლებში: იდეიდან საკლასო ოთახამდე“.

კონფერენცია მიზნად ისახავდა სკოლებში ფინანსური განათლების გაძლიერების ხელშეწყობას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის თანამშრომლობის, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და მასწავლებელთა პრაქტიკულ მხარდაჭერას.

კონფერენციის ფარგლებში ვორქშოპების სესიაც გაიმართა, სადაც მასწავლებლებმა კოლეგებს თავიანთი პრაქტიკული გამოცდილებები გაუზიარეს.

ვრცლად

მოხალისეობრივი ინიციატივა ახალგაზრდებისთვის დასრულდა

„გადაიღე ფინედუ, გაავრცელე ცოდნა“ ფინედუს მოხალისეობრივი ინიციატივაა 16-24 წლის ახალგაზრდებისთვის, რომელიც ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა.

ინიციატივა მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში მოხალისეობრივი ინიციატივისა და გონივრული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების წახალისებას, ფინედუს მასალების გამოყენებით ვიდეოჩელენჯების შექმნის გზით.

› ვრცლად

ვიდეორესურსები მეწარმეებისთვის

- *რა არის ინვესტიცია?*
- *ძირითადი ეტაპები ინვესტიციის დაწყებამდე*
- *ინვესტიციების შესაძლებლობები*

გონივრული და ინფორმირებული საინვესტიციო გადაწყვეტილებების წახალისების მიზნით,ფინედუმ საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენლების ჩართულობით ახალი ვიდეო და ტექსტური ჰესუსები შექმნა

› ვრცლად

იცოდი თუ არა, რომ?

ფინედუს კალკულატორების გამოყენებით სესხის ეფექტუი საპროცენტო განაკვეთს დამოუკიდებლად გამოთვლი. აქვე შეგიძლია სხვადასხვა შემოთავაზებული აღტეხნატივებიც შეადარო და შემდეგ მიიღო გონივრული ფინანსური გადაწყვეტილება.

finedu.gov.ge

არ გამოგრჩეთ

„მახგუღიხებების დიღემა“ იწყება! ეს არის უნიკალური შესაძლებლობა სტუდენტებისთვის მახეგუღიხებების ხოღი მოიხგონ და საფინანსო სექტორის ხეაღური დიღემები გადაჭხან.

› 2025 წლის კონკურსის შესახებ

საქართველო და მსოფლიო

საქართველოში ფინანსური განათლების პირველი ეროვნული სტრატეგია 2016 წელს შეიქმნა, 2023 წლის იანვარში კი განახლდა. 2016 წელს საქართველო ერთ-ერთი მოწინავე იყო, რომელსაც ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია ჰქონდა. ამჟამად, OECD-ის მიხედვით, მსოფლიოს 80-ზე მეტი ქვეყანა ავითარებს ან ახორციელებს ფინანსური განათლების ეროვნულ სტრატეგიას.

ხშირი კითხვა ფინედუზე

რა ცვლილებები განხორციელდა კანონმდებლობაში 60 წელს ზევით მომხმარებელთა შესაძლო თაღლითური სქემებისგან დაცვის მიზნით??

ეროვნული ბანკის განახლებული ჰეგულაციით: საგადახდო მომსახურების პროვაიდერმა ტრანზაქციით უნდა შეაჩეროს ან, სადაც ეს შეუძლებელია, უარი თქვას მომხმარებლის მიერ ინიციირებული რისკიანი ელექტრონული გადახდის ოპერაციის შესრულებაზე.

რისკიანი ოპერაციის დაფიქსირების შემთხვევაში, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ვალდებული იქნება დაუკავშირდეს მომხმარებელს. მომხმარებელს 48 საათი ექნება იმისთვის მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ტრანზაქციის განხორციელების შესახებ.

რისკიან ოპერაციად ჩაითვლება: თუ გადახდის ოპერაციის თანხა აღემატება 500 ლარს, გადახდის ოპერაციის შინაარსი დაკავშირებულია თაღლითობის მაღალი რისკის პროფილის საქმიანობებთან, გამოვლენილია მომხმარებლისთვის უჩვეულო ხარჯვისა და ქცევის თავისებურება.

რჩევა ციფრული უსაფრთხოებისთვის

როგორ აირიდოთ თავიდან პირამიდულ სქემაში გაწევრიანების რისკი?

- *გამოიჩინეთ სიფხიზლე საკუთარი თანხების დაბანდებისას;*
- *მოიძიეთ ინფორმაცია იმ ორგანიზაციის შესახებ, სადაც თანხის დაბანდებას აპირებთ;*
- *დაფიქრდით, როდესაც საეჭვოდ მაღალ სარგებელს გთავაზობენ.*

მნიშვნელოვანი თარიღები - IV კვ.2026



20 ოქტ. *კონკურსის „მარეგულირებლის დიღმა“ რეგისტრაციის დაწყება*

31 ოქტ. *დაზოგვის მსოფლიო დღე*

18 დეკ. *მიგრანტთა საერთაშორისო დღე*

info@finedu.gov.ge +032 2 406 406 www.finedu.gov.ge